

როგორ ზრდის გრაფიკული ორგანიზერების გამოყენება
სმენის შეზღუდვის მქონე მოსწავლეთა ცოდნის მიღებას ქართული ენის
სწავლების მაგალითზე

ეკა ღვინიაშვილი

მარი კურკუმული

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა - სპეციალური განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა დოლიძე, ფსიქოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეკა ღვინიაშვილი

მარი კურკუმული

აბსტრაქტი

ქვემოთ აღნიშნულ ნაშრომში საუბარია სმენის შეზღუდვის მქონე ბავშვების განვითარების თავისებურებებზე, სწავლა-სწავლების პრობლემებსა და მათთვის სასწავლო გარემოს მორგებაზე. ბავშვებს, სმენის დარღვევებით, აქვთ აზროვნებისა და დამახსოვრების განსხვავებული სტრატეგიები, შესაბამისად სწავლების პროცესში სწორედ მათზე მორგებული მეთოდების გამოყენება უნდა ხდებოდეს.

სმენის შეზღუდვის მქონე ბავშვების სწავლა-სწავლების პროცესში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვიზუალურად მიწოდებულ ინფორმაციას.

გრაფიკული ორგანიზერები ვიზუალური გამოსახულებებია, რომელიც სმენის შეზღუდვის მქონე მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, რომ მიღებული ინფორმაცია აღიქვას და დაამუშაოს როგორც ლინგვისტური, ისე ვიზუალური გამოსახულების ფორმით.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა, აუმჯობესებს თუ არა გრაფიკული ორგანიზერების გამოყენება, სმენის შეზღუდვის მქონე მოსწავლეების ცოდნის მიღების პროცესს.

ექსპერიმენტის ჩასატრებლად შეირჩა ქართული ენის გაკვეთილი, რადგან წერა და კითხვა ის უნარებია, რომელთა განვითარებაზეც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სმენის დარღვევა.

კვლევა ჩატარდა ქალაქ თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის ინტეგრირებულ კლასში, მეთოდად კი გამოყენებულ იქნა ექსპერიმენტი. აღნიშნული მეთოდი საშუალებას მოგვცემდა გამოგვევლინა განსხვავება, გრაფიკული ორგანიზერების გამოყენებითა და მის გარეშე, მიღებულ ცოდნის დონეს შორის (მაგ. ახალი სიტყვების დამახსოვრება).

შედეგების სტატისტიკური ანალიზის შემდეგ, გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავება გრაფიკული ორგანიზერების დახმარებითა და მის გარეშე მიღებულ ცოდნას შორის. დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ გრაფიკული ორგანიზერების გამოყენება აუმჯობესებს ცოდნის მიღების პროცესს, სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეებში.

Abstract

The following paper discusses the characteristics of development of children with hearing disorders, learning and teaching problems and adjusting learning environment for them. Children with hearing disorders have different strategies of thinking and remembering, accordingly, the methods of teaching should be tailored on them in the learning process.

In the teaching-learning process of children with hearing disorders, the information visually delivered is of particular importance.

Graphic organizers are visual images that allow students with hearing disorders to perceive and process the information obtained both in a linguistic and visual image form.

The aim of our survey was to determine whether applying graphic organizers improves the process of receiving knowledge by students with hearing disorders.

Georgian language lesson was selected for conduction of the experiment as hearing disorders particularly affect the development of writing and reading skills.

The survey was conducted in an integrated class of one of public schools of Tbilisi, and the experiment was used as a method. The mentioned method allowed us to identify the difference between the knowledge levels received with and without the use of graphic organizers (e.g. remembering new words).

According to statistical analysis of the results, a significant difference was revealed between the knowledge received with and without the help of graphic organizers. The hypothesis was confirmed that the use of graphic organizers improves the process of receiving the knowledge by the students with hearing disorders.

მადლობა

ხათუნა დოლიძეს, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, რომლის რჩევები და რეკომენდაციები ძალიან მნიშვნელოვანი იყო და დახმარებას გვიწევდა კვლევის ყველა ეტაპზე.

მაია წულაძეს, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან ერთად მუშაობდა ჩვენთვის და არ იშურებდა საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას.

ნინო გოგიჩაძეს, რომელიც აქტიურად გვეხმარებოდა და გვგულშემატკივრობდა თეზისის შემუშავების პროცესში.

თამარ მამსიკაშვილს, სსიპ ქალაქ თბილისის 64-ე საჯარო სკოლის დირექტორს, რომელმაც საშუალება მოგვცა კვლევა ჩავვეტარებინა ამავე სკოლის ინტეგრირებულ კლასში.

სსიპ ქალაქ თბილისის 64-ე საჯარო სკოლის ინტეგრირებული კლასის ფსიქოლოგს, ეკატერინე ღვინიაშვილს, და ამავე სკოლის სპეციალურ მასწავლებელს - ლელა მერკვილაძეს, უანგარო შრომისა და დახმარებისათვის.

ინტეგრირებული კლასის მოსწავლეებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი კვლევის პროცესში.